კონსტრუქციული დასკვნა მიცკევიჩის ქუჩაზე მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის "B" ბლოკის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

აღნიშნული საცხოვრებელი კომპლექსის "B" ბლოკზე შეტანილი იქნა კონსტრუქციული ცვლილებები. კერძოდ: საოფისე სართულზე მოეწყო ანტრესოლები; ასევე გადიდდა ანტრესოლის ზომები 42.00 ნიშნულზე 11-15 ღერძებში;

ყველა ზემოთ აღნიშნული ცვლილება არავითარ გავლენას არ მოახდენს შენობის საერთო მზიდუნარიანობაზე.

პროექტის მთავარი
კონსტრუქტორი: ლ. კურტანიძე

19.02.2015წელი.

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 4-11/0627-13 20 12 2013 წ.

დადგენილება №000388
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

20.12.2013წ. **ქ.თბილისი, შარტავას 7**

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ უჩა ზაქაშვილმა განვიხილე 2013 წლის 30 სექტემბრის №000388 მითითება და 2013 წლის 24 ოქტომბრის №000388 შემოწმების აქტი შედგენილი **შ.პ.ს. „ზიმო"-ს** (მის: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგისა და მიცკევიჩის ქუჩებს შორის (ს/კ №01.10.14.015.037)) მიმართ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა-გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგისა და მიცკევიჩის ქუჩებს შორის (ს/კ №01.10.14.015.037) შ.პ.ს. „ზიმო"-ს მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის „ბ" ბლოკის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №01/923 04.05.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №03/766 19.07.07წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: „1[1]-15" ფასადი: ფასადის ნაწილზე +6.00 ნიშნულიდან ზევით აგურით მოპირკეთების ნაცვლად შესრულებულია აგურის ფაქტურით ლესვა და ღებვა. ფასადზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი, ასევე არ არის მოწყობილი აივნის მოაჯირები. +15.90 ნიშნულზე, „12-13" მონაკვეთში გაუქმებულია აივანი. +12.60 ნიშნულზე, „14-15" მონაკვეთში კედელში გაუქმებულია ღიობი და მოაჯირი. შენობის ფასადზე ნაწილობრივ შესავსებია ვიტრაჟებისთვის განკუთვნილი ღიობები. ±0.00 და +6.00 ნიშნულებზე კოლონების და რიგელების ნაწილი ალუკობონდით მოპირკეთების ნაცვლად მოპირკეთებულია ტრავერტინის ფილებით, ხოლო ნაწილი მოსაპირკეთებელია. +6.00 ნიშნულზე, „13-15" მონაკვეთში „ა-ა" ღერძზე არ არის მოწყობილი ვიტრაჟები. +35.70 ნიშნულზე, „1-2" მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟის სიგრძე „1-1" ღერძამდე. ფასადზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. შენობის ძირში მოსაპირკეთებელია ცოკოლი, ასევე „ა-ა" ღერძის გარეთ ბაქნის მოწყობა არ არის დასრულებული და არ არის მოწყობილი საყვავილეები. „1-3" და „6-7" მონაკვეთებში ±0.00 ნიშნულზე არ არის მოწყობილი კედლები. „ა-დ" ფასადი: „ა-გ" მონაკვეთში შესრულებულია ტრავერტინის ფილებით მოპირკეთება, „გ-დ" მონაკვეთში კედლის ნაწილი მოსაპირკეთებელია, ხოლო ნაწილზე შესრულებულია ბაზალტის ქვით მოპირკეთება. „ბ-გ" მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე დამატებით

მოწყობილია ორი წყლის მილი. +6.00 ნიშნულზე კოლონები და რიგელები ალუკობონდის მოპირკეთების ნაცვლად მოპირკეთებულია ტრავერტინის ფილებით. +6.00 ნიშნულის ზემოთ ფასადი მოსაპირკეთებელია. ±0.00 ნიშნულზე, „გ-დ“ მონაკვეთში „14-15“ ღერძებს შორის კოლონების და კედლების მონაცვლებით შეცვლილია შენობის კონფიგურაცია და შემცირებულია ფართი 7 მ²-ით, რითაც ასევე +6.00 ნიშნულზე შემცირებულია ტერასის ფართი და შეცვლილია კონფიგურაცია. „15-1“ ფასადი: ±0.00 ნიშნულზე, „15-12“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კონდენციონერები, ასევე „10-8“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კონდენციონერები. ფასადზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. „10-9“ მონაკვეთში კარის ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟი, ხოლო +2.70 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟის გაბარიტები. „9-8“ მონაკვეთში კარს მონაცვლებული აქვს ადგილი და კარის გვერდით დამატებით მოწყობილია ფანჯრები, +2.70 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟის გაბარიტები. „9-8“ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი. ფასადი მოსაპირკეთებელია. „დ-ა“ ფასადი: „ბ-ა“ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი. „ბ-გ“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი კედელი, ხოლო „დ-გ“ მონაკვეთში კედელი მოსაპირკეთებელია. „გ-ბ“ მონაკვეთში ვიტრაჟებში ორფრთიანი კარის ნაცვლად მოწყობილია ერთფრთიანი კარი. ფასადი მოსაპირკეთებელია. „გ-ბ“ მონაკვეთში +42.30 ნიშნულზე, „5-5“ ღერძზე არ არის მოწყობილი კედელი. ±0.00 ნიშნულზე: „12-15“ მონაკვეთში არსებული და საპროექტო დონეები არ შეესაბამება ერთმანეთს. „გ-დ“ მონაკვეთში „12-14“ ღერძებს შორის დამატებით მოწყობილია ანტრესოლი 50 მ² ფართის (სიმაღლე დაახლოებით 2.5 მ) მასზედ ასასვლელი კიბით. „ა-ა“ ღერძის გარეთ არ არის დასრულებული ბაქნის მოწყობა, ასევე არ არის მოწყობილი გამწვანების ზოლი და ბაქნები. „6-4“ მონაკვეთში გაუქმებულია კიბის საფეხურები. შენობაში ვიტრაჟების გვერდით დამატებით მოწყობილია კოლონები. +19.20, +22.50 და +25.80 ნიშნულებზე „12-13“ მონაკვეთში გაზრდილია აივნის გაბარიტები 0.2 მ-ით. +35.70 ნიშნულზე, „3-4“ მონაკვეთში „გ-ბ“ ღერძებს შორის არ არის მოწყობილი წყლის სარკე. +39.70 ნიშნულზე „3-4“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი კიბე. +39.00 ნიშნულზე: „3-4“ მონაკვეთში „გ-ბ“ ღერძებს შორის არ არის მოწყობილი კიბე. „4-5“ მონაკვეთში „გ-დ“ ღერძებს შორის არ არის მოწყობილი კიბე. +42.30 ნიშნულზე: „6-7“ მონაკვეთში, სართულშუა გადახურვის ფილაში დამატებით მოწყობილია ღიობი დაახლოებით 2.8 მ² ფართის. „7-8“ მონაკვეთში გაუქმებულია კიბის უჯრედი და ფილაში კიბის უჯრედისთვის განკუთვნილი ღიობი. „10-11“ მონაკვეთში „ბ-გ“ ღერძებს შორის ფილაში დამატებით მოწყობილია ღიობი დაახლოებით 2.8 მ² ფართის. „11-13“ მონაკვეთში „ბ-გ“ ღერძებს შორის გაუქმებულია ორი კიბის უჯრედი. „11-12“ მონაკვეთში „გ-დ“ ღერძებს შორის არ არის მოწყობილი კიბე. „ა-ა“ ღერძის გარეთ მოწყობილი ბაქნის, კიბის საფეხურების და ინვალიდების ეტლებისთვის განკუთვნილი პანდუსის მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს.

სამსახურის სპეციალისტის მიერ “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის” საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2013 წლის 30 სექტემბერს შედგენილ იქნა მითითება №000388, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) დღიანი ვადა ობიექტის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2013 წლის 24 ოქტომბერს “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის” საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000388, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

2013 წლის 05 ნოემბერს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. „ზიმო"-ს დირექტორი მოქ. ლევან მარშანია (პ№01009003969), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მხარემ აღნიშნა, რომ მიმართული აქვს გამარტივებული წესით ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე და შესაბამისად მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

საქმეშია ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 20 ნოემბრის №ბ-12/13280154-16 ბრძანება, რომლითაც უარი ეთქვა შ.პ.ს. „ზიმო"-ს ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ალ. ყაზბეგისა და მიცკევიჩის ქუჩას შორის მდებარე შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის „ბ" ბლოკი) ექსპლუატაციაში მიღებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „ზიმო"-ს მიერ ჩადენილია "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა-გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგისა და მიცკევიჩის ქუჩებს შორის (ს/კ №01.10.14.015.037) განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის „ბ" ბლოკის ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №01/923 04.05.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №03/766 19.07.07წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მშენებლობა,

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "გ" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა-გ" პუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „ზიმო" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგისა და მიცკევიჩის ქუჩებს შორის (ს/კ №01.10.14.015.037) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის „ბ" ბლოკის ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №01/923 04.05.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №03/766 19.07.07წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მშენებლობისთვის;

2. შ.პ.ს. „ზიმო"-ს დაევალოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:**

სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: თღ შ 22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. „ზიმო"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (ქ. თბილისში, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის მოადგილე **უ. ზაქაშვილი**

საგადახდო დავალება No 13486

Transfer Order No 13486

ვალუტირების თარიღი/Value Date: 24/01/2014 რეფერენსი/reference: 2454440938

იგჩძენი მომავაღი საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator ზიმო შპს	ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit) GE11BG0000000156442600GEL	თანხა/Amount 4000 GEL
გადამხდელის ბანკი/Originator Bank სს "საქართველოს ბანკი"	ბანკის კოდი/Bank Code BAGAGE22	თანხა სიტყვებით/Amount in words ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი
გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name ზიმო შპს	საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer 211338015	
მიმღების დასახელება/Recipient ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო	ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code 300773263	ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
მიმღების ბანკი/Recipient Bank სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი/Bank Code TRESGE22	გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank 24/01/2014
გადახდის დანიშნულება/Description დადგენილება N 000388 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე		ხელმოწერა/Signature:
დამატებითი ინფორმაცია/Additional Info		შტამპი: შ.ა. საქართველოს ბანკი J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK
ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature: ბეჭედი. მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:		ვალუტირების თარიღი/Value Date:

საგადახდო დავალება No 13486

Transfer Order No 13486

ვალუტირების თარიღი/Value Date: 24/01/2014 რეფერენსი/reference: 2454440938

იგჩძენი მომავაღი საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator ზიმო შპს	ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit) GE11BG0000000156442600GEL	თანხა/Amount 4000 GEL
გადამხდელის ბანკი/Originator Bank სს "საქართველოს ბანკი"	ბანკის კოდი/Bank Code BAGAGE22	თანხა სიტყვებით/Amount in words
გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name ზიმო შპს	საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer 211338015	
მიმღების დასახელება/Recipient ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო	ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code 300773263	ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
მიმღების ბანკი/Recipient Bank სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი/Bank Code TRESGE22	გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank 24/01/2014
გადახდის დანიშნულება/Description დადგენილება N 000388 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე		ხელმოწერა/Signature:
დამატებითი ინფორმაცია/Additional Info		შტამპი: შ.ა. საქართველოს ბანკი J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK
ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature: ბეჭედი მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:		ვალუტირების თარიღი/Value Date:

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი. 0160, შარტავას ქ. 7

ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 000388

შედგენის თარიღი: 24.10.2013წ.

მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს დამრღვევს, რაზეც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებაში. („პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

მითითება გაცემული იყო „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 45 მუხლის 1 ნაწილის [illegible] პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის გამოსასწორებლად.

შემოწმების აქტი დგება 30.09.2013 წელს

გაცემული № 000388 მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დასადგენად.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: [illegible] № 01.10.14.015.037

ობიექტის დასახელება და მისამართი: [illegible] 01.10.14.015.037

შემოწმების მომენტში მშენებლობის ეტაპი: [illegible]

შემოწმებით დადგინდა: 30.09.2013 წლის [illegible] №000388 [illegible]

რითაც დგინდება, რომ:

ა) მითითება შესრულდა;
ბ) მითითება არ შესრულდა;
გ) მითითება არადროულად სრულდება.

შემოწმების აქტის საფუძველზე თუკი აქტში დაფიქსირებულია დარღვევა სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას:
ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ;
ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ;
გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანი ან ნაწილობრივი შეჩერების და დემონტაჟის შესახებ („პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-9 ნაწილი);

თუ დარღვევა გამოსწორებულია, საქმის განხილვისას გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევის გამომრიცხველი გარემოებები, პროექტის შემთანხმებელმა და მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ ან არ არსებობს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული დადგენილების მიღების საფუძველი, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, („პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-11 ნაწილი)

თუ მითითება დროულად არ შესრულდა, მაგრამ სამართალდარღვევა აღმოფხვრილ იქნა დადგენილების მიღებამდე, დამრღვევი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, ხოლო სამართალდარღვევაზე დაწყებული წარმოება უნდა შეწყდეს („პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი);

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

[illegible] / ი. ხიზანიშვილი

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

25.10.2013

თუ ვერ ხერხდება დადგენილებაში მითითებული მხარისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა (პირდაპირი ჩაბარებით), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება მითითებაში, შემოწმების აქტში, უწყებაში ან დადგენილებაში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე („პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-19 ნაწილი). შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

განთავსების თარიღი

საგადახდო დავალება No 13486

Transfer Order No 13486

ვალუტირების თარიღი/Value Date: 24/01/2014 რეფერენსი/reference: 2454440938

იგჩძენი მომავაღი საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator ზიმო შპს	ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit) GE11BG0000000156442600GEL	თანხა/Amount 4000 GEL
გადამხდელის ბანკი/Originator Bank სს "საქართველოს ბანკი"	ბანკის კოდი/Bank Code BAGAGE22	თანხა სიტყვებით/Amount in words ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი
გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name ზიმო შპს	საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer 211338015	
მიმღების დასახელება/Recipient ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო	ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code 300773263	ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
მიმღების ბანკი/Recipient Bank სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი/Bank Code TRESGE22	გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank 24/01/2014
გადახდის დანიშნულება/Description დადგენილება N 000388 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე		ხელმოწერა/Signature:
დამატებითი ინფორმაცია/Additional Info		შტამპი: შ.ა. საქართველოს ბანკი J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK
ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature: ბეჭედი. მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:		ვალუტირების თარიღი/Value Date:

საგადახდო დავალება No 13486

Transfer Order No 13486

ვალუტირების თარიღი/Value Date: 24/01/2014 რეფერენსი/reference: 2454440938

იგჩძენი მომავაღი საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator ზიმო შპს	ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit) GE11BG0000000156442600GEL	თანხა/Amount 4000 GEL
გადამხდელის ბანკი/Originator Bank სს "საქართველოს ბანკი"	ბანკის კოდი/Bank Code BAGAGE22	თანხა სიტყვებით/Amount in words
გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name ზიმო შპს	საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer 211338015	
მიმღების დასახელება/Recipient ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო	ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code 300773263	ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
მიმღების ბანკი/Recipient Bank სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი/Bank Code TRESGE22	გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank 24/01/2014
გადახდის დანიშნულება/Description დადგენილება N 000388 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე		ხელმოწერა/Signature:
დამატებითი ინფორმაცია/Additional Info		შტამპი: შ.ა. საქართველოს ბანკი J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK
ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature: ბეჭედი მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:		ვალუტირების თარიღი/Value Date:

ხელშეკრულება

საავტორო უფლების დათმობის შესახებ

ქ.თბილისი

2015 წლის 5 იანვარი

1. **ხელშეკრულების მხარეები**

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები არიან:

1.1 შპს „სტუდია არსი“ ს/კ:205210136. წარმოდგენილი მისი დირექტორის მანანა თავხელიძის მიერ. (შემდგომში: მენარდე)

1.2 შპს „ზიმო“ ს/კ: 211338015 , წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ კიკნაძის მიერ.(შემდგომში: შემკვეთი)

2. **ხელშეკრულების პრეამბულა**

იმის გათვალისწინებით, რომ:

2.1 აღნიშნულ მხარეთა შორის 2006 წლის 1 ივლისს დადებული ხელშეკრულების თანახმად მენარდეს ევალებოდა შემკვეთისათვის ქ. თბილისში ალ.ყაზბეგის გამზირსა და მიცკევიჩის ქუჩას შორის, შპს „ზიმო“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, არქიტექტურული პროექტის (შემდგომში: პროექტი):

- “A” ბლოკი (52-ბინიანი საცხოვრებელი კორპუსი)
- “B” ბლოკი (95-ბინიანი საცხოვრებელი კორპუსი)

წარდგენა .

ხსენებული ვალდებულებები მენარდემ შეასრულა ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

2.2 მხარეები ადასტურებენ, რომ პროექტზე საავტორო უფლება ეკუთვნის მენარდეს.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულების მხარეების სურვილია, მენარდის საავტორო უფლება გადაეცეს შემკვეთს.

3. **ხელშეკრულების საგანი:**

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მენარდე უთმობს შემკვეთს საავტორო უფლებას პროექტზე, ხოლო შემკვეთი იღებს მენარდის საავტორო უფლებას პროექტზე.

3.2 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტში აღნიშნული უფლების დათმობის საფასურია 1 ლარი.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით არქიტექტორი ადასტურებს, რომ ეთანხმება მხარეებს შორის გაფორმებულ უფლების დათმობას.

4. დამატებითი დებულებები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საავტორო უფლების დათმობა გულისხმობს იმას, რომ შემკვეთს შეუძლია მენარდის მიერ წარმოდგენილი პროექტის კორექტირება და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენა დასამტკიცებლად.

4.2 ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მხარეები განმარტავენ, რომ შემკვეთის მიერ პროექტის კორექტირების შედეგად მიღებული არქიტექტურული პროექტი განიხილება მენარდის მიერ შექმნილი პროექტისგან დამოუკიდებლად და კორექტირების შედეგად მიღებული არქიტექტურული პროექტის ავტორს წარმოადგენს შემკვეთი, და არა მენარდე.

5. დასკვნითი დებულებები

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

5.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისათვის.

მხარეთა ხელმოწერები:

<u>შემკვეთი:</u>
შპს „ზიმო“ 211338015
მიცკევიჩის ქ. 25 ბ, თბილისი 0160
ტელ. 262 22 32, 262 22 33
ელ. ფოსტა zimo@zimo.ge

დირექტორი: ზ.კიკნაძე

<u>მენარდე:</u>
შპს „სტუდია არსი“ 205210136
თბილისი, აბულაძის ქ. 21

დირექტორი: მ.თავხელიძე

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მიცკევიჩის ქუჩაზე (ბლოკი **B**)

კალენდარული გეგმა

№	სამუშაოთა ჩამონათვალი	2015 წელი																														
		მარტი			აპრილი			მაისი			ივნისი			ივლისი			აგვისტო			სექტემბერი			ოქტომბერი			ნოემბერი			დეკემბერი		
		1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	
1	ანტრესოლების მოწყობა კორექტ. პროექტის მიხედვით																															
2	ფასადის მოსაპირკეთებელი სამუშაოები																															
3	სადარბაზოების იატაკების მოპირკეთება																															
4	სადარბაზოების სამღებრო სამუშაოები																															
5	ლიფტების გაშვება-გამართვის სამუშაოები																															
6	სადარბაზოების ელ.ტექნიკური სამუშაოები																															
7	გაზგაყვანილობის სამუშაოები																															
8	ტერიტორიის კეთილმოწყობა																															
9	დასუფთავების სამუშაოები																															
10	ექსპლუატაციაში ჩაბარება																															

შპს ‘ზიმო’’-ს საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი (ყ. დავითულიანი)

კორექტირება ანტასტერი

თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 01/923

" 04 " 05 2011

ქ. თბილისში, სექტორი (საბურთალო), ალ. ყაზბეგისა და მიცკევიჩის ქუჩას შორის, შ.პ.ს. „ზიმო"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის „ბ" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.

დამკვეთი – შ.პ.ს. „ზიმო"
საპროექტო ორგანიზაცია – შ.პ.ს. „ზიმო"
ავტორი – ს. პატაშური, მ. დავითულიანი

საფუძველი:
- განცხადება №12/17123-13 23.02.2011წ. 15.03.2011წ. 01.04.2011წ. 12.04.2011წ
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა (სარეგისტრაციო №882009196617: №01/10/14/015/037:)
- ქალაქთმშენებლობითი პირობები №1/300 05.06.06წ.
- ქ.თბილისის მერიის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 19.07.07წლის №03/766 ბრძანება და №6/647-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა
- თბილისის არქიტექტურის სამსახურის, თბილისის მერიის სსიპ-ის 22.03.2010წლის №6/6161 მშენებლობის ნებართვა და №6/616-1 და №6/616-2 მშენებლობის სანებართვო მოწმობა
- ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 18.03.2011 წლის №დ218-11 №000593 დადგენილება

IV კლასი – რისკის მაღალი ფაქტორით

მიწის ნაკვეთის ფართი:	- 5586.00 მ^2
მოშენების ფართი:	- 1465.00 მ^2
საერთო ფართი:	- 17122.00 მ^2
მათ შორის	
ბინების ფართი:	- 10173.00 მ^2
კომერციული ფართი:	- 1347.00 მ^2
საზაფხულო ფართი:	- 2195.00 მ^2
დამხმარე ფართი:	- 1163.00 მ^2
ავტოსადგომის ფართი:	- 2244.00 მ^2
სამშენებლო მოცულობა:	- 63171.00 მ^3
მათ შორის	
0.00 ქვევით:	- 8050.00 მ^3
0.00 ზევით:	- 55121.00 მ^3

თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005 წლის №140-ე დადგენილებისა

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 72 22 22 ფაქს. (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, სექტორი (საბურთალო), ალ. ყაზბეგისა და მიცკევიჩის ქუჩას შორის, შ.პ.ს. „ზიმო“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის „ბ“ ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2011 წლის 05 მაისიდან 2012 წლის 05 იანვრის ჩათვლით
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ჟ. შარტავას ქ. №7) ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

– მშენებლობის ეტაპები: ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა, სახურავისა და გადახურვის მოწყობა, არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების მოწყობა, გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები, ტერიტორიის კეთილმოწყობა.

1. სანებართვო პირობებით გათვალისწინებული მშენებლობის თითოეული ეტაპის დასრულებისას ნებართვის მფლობელი ვალდებულია, შეადგინოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმი სამშენებლო მოედანზე წარმოებული სამუშაოების დათვალიერებისა და სანებართვო პირობებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.
2. მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმს ხელს აწერენ დამკვეთი და მენარდე ან/და მათი საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი.
3. შედგენილი ოქმი სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით უნდა წარედგინოს შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარებაზე უფლებამოსილ შესაბამის ორგანოს და მხოლოდ ამ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ წარმოადგენს იგი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს.
4. მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმის შედგენის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ოქმის შემდგენელს.
5. ოქმის შეუდგენლობა ან ოქმში არასწორი მონაცემების შეტანა გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.
6. დამკვეთი ვალდებულია III, IV კლასების ახალი მშენებლობისა და შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 6 თვის ვადაში შენობა-ნაგებობა წარადგინოს უფლებამოსილ ორგანოში ვარგისად აღიარებისათვის.
7. მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

III-IV კლასის შენობა-ნაგებობების
სანებართვო განყოფილების უფროსი– კ. ნიაური

თბილისის არქიტექტურა

№ _____

№ _____

მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/989-1

ნებართვის გაცემის თარიღი „04“ 05 -----2011წ.

მშენებლობის დაწყების თარიღი „05 მაისი“ -----2011წ.

ნებართვა ძალაშია „05 იანვარი“ -----2012 წ.

დამკვეთი შ.პ.ს. „ზიმო“
(დასახელება)

მშენებლობის ობიექტი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის „ბ“ ბლოკი
(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება)

ქ. თბილისი, სექტორი (საბურთალო), ალ. ყაზბეგისა და მიცკევიჩის ქუჩას შორის
(მისამართი / ადგილმდებარეობა)

№01/10/14/015/037:
(მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი)

პროექტი შეთანხმებულია ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ (ჟ. შარტავას ქ. №7)
(შემთანხმებელი ორგანიზაციის დასახელება, მისამართი)

ნებართვა გაიცა ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ (ჟ. შარტავას ქ. №7)
(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, მისამართი)

ბრძანება № 01/923, 04.05. 2011წ.

ნებართვაზე ხელმომწერი პირი: კ. ნიაური
(სახელი, გვარი)

ბ. ა. III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების უფროსი
(თანამდებობა)

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 72 22 22 ფაქს. (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect